საქართველოს გაზეთი

ოკტომბრის კზ დღესა ჩყით წლისა ტფილისში.

Но. 25.


## ს ა ნ კ ტ პ ე ტ ე რ ბ უ რ ღ ს

### გამოცხადებანი

ისპოლნიტელნის ექსპედიცია გამოუცხადებს ყოველთავე საზოგადოდ საცნობელად, რომე შაქის სახანოს მმართებელად ყოფილის ღენერალ-მაიორის იზმაილ ხანის სიკვდილისა და მასთანავე ერთად მისის გვარის მოწყვედის გამო, შაქის სახანო სამფლობელოსა ზედა ყოვლადუმოწყალესად მინიჭებულისა განკარგულებისა იზმაილ ხანისადმი ტრაქტატისასა შევალს სამარადისოდ რუსეთის მმართებლობასა შინა და ეწოდება ამის შემდგომად სახანოს ნაცვლად პროვინცია ანუ მაზრა.

ხაზინის ექსპედიცია აცხადებს ამის შიერ, რომე რომელთაც უნდოდესთ ჰსყიდვა ამის ღიტრამის გამხმარის ენდროსა და ტუნდ ნახევრისა და ექვსის მისხლის ვადრის ზეთისა, ისიანი უნდა გამოცხადდენ ამ ექსპედიციაში სავაჭროდ ორს ჰაგმანზედ პირველად კბ და მეორედ კვ რიცხვსა ამ ოკდომბრის თვისასა.

ისპოლნიტელნის ექსპედიციისაგან გამოცხადების ყოველთავე საზოგადოდ.

ა.

მოწოდებულნი არიან იგინი, რომელთაცა ვალი ჰმართებს ტფილისის მოქალაქეს სვიმონ ტერ-შიმონოვსა (მასვე ამიმელიქოვს) და ანუ რომელთაც მისი ჰმართებსთ ასე რომ იგინი საბუთებითურთ გამოცხადდენ ტფილისის უეზდის სუდში ამა გამოცხადების დღითგან დაწყებული ორს თვეზედ.

ბ.

ექსპედიციაში ისყიდება ყმა თავადის გლახა ყორღიბაშოვისა თელავის უეზდში მცხოვრები იესე სულიკოვი სახლეულებით მისის მამიწულის სვიმონით ოცდათხუთმეტის დღის ხანნაში მიწითა და ორის ვენახით ამ ოცდაჩვიდმეტს თუმანს თეთრს ფულში, რომელიცა ჰმართებს მას თელაველს თეიმურაზ ბალდახაროვისა სარგებლით და რომელთაც უნდოდესთ მათი ჰსყიდვა ისინი უნდა გამოცხადდენ ექსპედიციაში ნოემბრის იგ და კდ და დეკემბრის გ.

გარდა ამისა

გ.

საქართველოს ღუბერნატორის თანამდებობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასრულებელის და კაპიტნის ხიდენის წინადა-დებისა ძლით მეჯინიბე ფესხადებისით ყოველთავე საცნობელად რომე სასამართლოს ადგილებში ამის შემდგომად მხოლოდ ის სასამუთო წერილები იქ-მნებიან ნამდვილად მიღებულნი, რომელნიც დამ-ტკიცებულნი არიან რუსეთის მხედრულთ საფუძვე-ლსა ზედა და რომ ყოველნი შინაურნი თმასუქის წერილნი ვირაოთი ან ოგირაოდ დასამოწმებელად უნდა წარდგენილ იქმნებოდენ უეზდისა ან ოკ-რუგის სუდებში ან პალატებში. რომელნიც ქალაქებში ცხოვრებენ არა უშორეს ერთის კვი-რისა და რომელნიცა უეზდებში ცხოვრებენ არა უშორეს ერთისა თვისა, და ანდერძის წერილნი ორის თვეზედ.

ღირს სახსოვარნი მოთხრობანი და სიტყვანი იმ-პერატორისა პეტრე პირველისანი.

ა.

ჴელმწიფე აკეთებდა კაცის სახეს სახარატოს ჩარხით, და იყო რა მხიარულად მისთვის რომ წარმატებით მუშაკობდა, ჰკითხა მუშაკსა თვის-სა ნარტოვს მე როგორ ვაკეთებო, და ოდესცა ნარტოვმა უპასუხა კარგადაო, მაშინ იმისმა დიდებულებამ უთხრა აი ანდრიაჲ მე ძვლებს ასე ვჰსთლი საჭრეთლითა, და მიუდრეკელთ კაცთ გამართვა კეტითაც ვერ შევიძლო.

ბ.

ჴელმწიფეს მოსწყინდა, რომ პეტერბურღში მოვიდნენ მოთამაშენი და თოკზედ მოსიარულენი, რომელნიც წარმოადგენენ სხვა და სხვას საკვი-რველს ოინებსაო, ამაზედ მისმა დიდებულებამ რაღ დენერალ პოლიცმეისტერს დევიერს უპასუხა: აქ სახმარნი არიან ხელოვანნი კაცნი და არა მე-მატყუებელნი ოინბაზნი, მე პარიჟშიაც მრა-ვალნი მინახავან მაგ გვარნი მოარულნი მო-ედნებზედ, პეტერბურღი პარიჟი არ არის, დაუსხენ მოსულეთ კაცთ უფლება ერთის კვირას მაგ გვარს სიგიჟეს, მაგრამ თვითოეულს ამა-თანას უფროს უყურებელს კაცს ორ შაურზედ მეტი არ გამოერთმეოდესო, და უმრავლეს ღარიბს ხალხს უმეტეს აჩვენონ ეგენი ჩემს ზალს წინ მოე-დანზედ და მერმე გაუყარეთ ეგენი ქალაქიდამაო, ამისთანა უქმობა არ უნდა ვასწავლოთ ხალხსაო, მე თვით მიყვარან ამ გვარნი მოთამაშენი მაგ-რისებში, რომელნიც ხომალდის ირალებზედ თამაშობენ და თავდადებით დადგებიან იალქნის ზემოს მარიზებზედ, მოსულთ მეტოველთ უსა-რგებლოდ თვითს უყურებდე ცოდვა არისო.

გ.

პეტრე პირველი თვით ნერგავდა მუხის კრკო-თა პეტერბურღის მახლობლად პეტერჰოფის გზაზედ და ჰსწადდა, რომე ყოველგან გაჩენი-ლიყო მუხა, და შეატყო რა, რომ ერთმა იქ მდგომთა დიდთა გვამთაგანმა მის შრომაზედ გაიცინა, გამოუბრუნდა მას და მრისხანეთ უთ-ხრა, მესმის შენ იფიქრე რომ მე ველარ მო-ვესწრები დიდთ მუხათა, მე ვუტევებ სხვათ მაგალითს, რომ შთამომავალთაც ასე ჰქმნან და დროზედ გააკეთებდენ მათგან ხომალ-დებსაო, მე არა ჩემთვის ვშვრები, სარ-გებლობა სახელმწიფოს შემდგომად ექმნე-ბაო.

ხეთ გაჩენასა და შენახვაზედ გამოცემულ იქმნენ კელმწიფისაგან ფიცხელნი ბრძანებანი, რადგან ეს იყო ერთის უჩინებულეს მის საქმეთ.

დ.

ჰქტრე პირველი იგი ჭეშმარიტი ღვთის-მოყვარე და დამცველი ქრისტიანეობისა ს. წმიდ-ნოვანისა ა უჩვენებდა თავსა თვისით მრავალთა მაგალითით და იტყოდა თავისუფალ-მოაზრეთა და უღმრთოთა კაცთათვის, ვისცა არა ჰსწამს ღმერთი იგი ან ჭეშმარიტ შემოქმედ და ან ბუნებითად უზუნური არის, მხედველი შემოქმედისა შემ-მწირველებათა გამოცნობად თანამდებ არს.

ე.

მისი დიდებულება პრამანდებოდა იორდანეზედ და თვით უკამანდებდა პოლკთა, და ოდეს მობრძანდა სასახლეში უხრა იმპერატრიცას: საქმე სანახავი არის ხიდეა ნევის ყინულზედ იორდანეს გარემო მდგომარეს ათის პოლკის დაწყობისათა ტრანცია-ში ამას არ ერწმუნებოდენო; შემდგომად მიუბრუნდა ღვარდიის შტაბოფიცერთა და უბრძანა თუმცა ყინული მლიერი არის, მაგრამ ჩემი სალდათები მასზედ უმლიერნი არიანო. ისინი ასე გამართულის მარშით მოდიოდენ რომ ორთქლი მხოლოდ სვეტად ადიოდა და ულვაშებით მიმოაბრუნებდენო, მე შემიმცნევია უფალნი უცხოს ქვეყნის ელჩნი შესვეულნი ქათიბებში ჰკვირობდენ ამას და მხრებს იჭიმეზდენ და ასე ჰგონებდენ, იქმნება ეს ფიცხლობით იყოსო; მაგრამ ჩვენ ეშობილეართ ჩრდილოეთის და შევეჩვიეთ ტვირთვა ამისთანას ყინულისა, და სალდათების სითბოსაგან დნება არა ჯერ-არსო.

მოთხრობა

ა.

ჭაბუკნი ა. წარსდგა დ. ღვინისსახლში და

ჰხითხვა კანონიერის სახით გარდაკვდომა: კელმწიფემ სამი სიტყვა: ფული ანუ გარდაღვრომა. ღენერლმა მიუგო მას ეგრეთვე ლაკონიკურად ეს იგი ორლესულ-დექსად კაპიტანოთის სიტყვით; არც ერთისა და არც მეორეს, განვიდა რამოდენიმე დღე კოროლმა უბოძა მას ჯილდო მისის გულ-მოდგინებითისა და გრძელ ჟამიერის სამსახურის შესაბამი.

ზ.

შემზურდი ჩინებული კათოლიკეთ პაპი მეათე-შვიდმეტისა ანწყლობისა არა რაჲსა შეიძინებდა უწინარეს, გიდრემდის არა განასხურებდა გამოსაცდელსა თვისსა ღვინითა და უმეტესად მაშინ ოდეს იწყებდა აღწერასა ბრძოლისასა, რომელსაცა ჟამსა იგი უმეტეს მიიღებდა სასმელსა მთვრალი მეგობართაგანი ამისი; რომე წინათვე უბრძანებდენ; რათამცა ბრძოლის შიშთა არ შეგვაშინონო.

გ.

რომელთამე ქალთა ჰკითხეს გამოჩენილს არტისტს ბერნეს: ვითარი ხსვაობა არის ფრანციისა და იტალიის ქალთა შორისო. მან მიუგო მე მგონებ მხოლოდ ეს ხსვაობა არის, რომ ბერლეთა შინა იტალიანელისათა მლინდრეებს ხმა სხლი და ფრანცუზისათა რიცხვი.

დ.

ქალმა უთხრა ყმაწვილს კაცსა, რომელსაცა განეტარებინა თავისი ცხოვრება გარყვნილებაში; და უკანასკნელ ეცნა სავნებელნი საქმენი თვისნი სიცელქეთანი, თქვენ ლოდ აკადსართ? მაგრამ ნუ გეშინიანთ არ მოჰკვდებითო: ოცდაათის წელიწადს ბუნება კიდევ მოქმედებსო და სნეულმა

მიუგო განამრავლეთ ერთი ორად წელიწადნი: მე მიცოცხლია დღეთ და ღამეთა.

გ.

თუ ვინმე ერიად გამოცდილი მკურნის გამ-ჯურისა და კაცის შინაგანის გარჩევის სწავლა-ში და უთხრა ჩინებულსა ვისმე ექიმს თქვენ უნდა იცნობდეთ და განჰკურნებდეთ სნეულება-თა თვნიერ სიმნელისა. ამან მიუგო ღიად ეგრე უნდა იყოს: მაგრამ უბედურებით ჩვენ ვგევართ ბარათების მატარებელთა, რომელთაც იციან ყოველი ქუჩა, მაგრამ ესკი არიციან სახ-ლებში რა ისაქმებათ.

დ.

კაცმან ვინმე წარუგზავნა დოქტორს ტრა-ღედია თვისი (ესე იგი სამწუხარო წარმოდგინე-ბა) და ჰკითხოვა მას რათა სიწრფოებით ეთქვა მას ზედა ჰაზრი თვისი, დოქტორმა წარიკითხა რა იგი, ზედა წარჰსწერა გადმობრუნებით, სიმნელე მდგომარეობს არა შეთხზვასა შინა მსგავსისა ტრაღედიისასა, არამედ პასუხსა შინა შემთხზვე-ლისადმიო.

პაპისა აკგრისას, რომელიცა წარმოადგენდა ლონდონის მუსამეს რიჩარდის ტრაღედიაში, ლედიანნას დაავიწყდა თვსგან სათქმელი სიტყვები, და რამთენ-ჯერმე იმათ მაგიერ სიტყვათა ამათ ჯანა...

მეორემდა: ას როდეს მოვისვენებო, მამინ ერ-თმა იმისთა ვალის მომცემთაგანმა ხუმრად წამოიძახა არაოდეს. მანამდის არ მომცემ ლი შილინგს (შილინგი ფულის სახელია) რომელიც შენ ჩემი გმართებსო.

ქალმან ვინმე წარიკითხა წიგნი მელაპარაკენჯოთ რო. ბოლონგზკო ანუ გამოცდილება ჰქვიანთა და დიდ კაცთ შობისა. და ჰკითხა უბედური არის მისი შემთხზველი, რომ იმის მამას ეს საიდუმლო არ ჰსცოდნია.

მუნჯმა კაცმა უთხრა თავის მოსამსახურეს რომელიც ჩქარად და მრავალს სჯმოდა და თავის თანამდებობას უფრო დაყოვნებით ასრულებდა უმეტესად გაგზავნგამოგზავნის დროს, თუ შენ გინდა ჩემთან სამსახური, ფეხებით ჭამე და კბი-ლებით იარეო.

დიდი კონდე შემოადგა ლერიდას და ვერ აიღო, შევიდა თეატრში და იქ შეიქმნა როგორმე ყვირილი, დიდმა კონდემ უჩვენა პოლიციის ოფი-ცერს ერთი კაცი, რომელიც სხვათ უდიდესად ყვიროდა და უთხრა წაიყვანეთ ეგეო. მან უპასუხა მე მქვიან ლერიდა, ჩემი დაჭერა ძნელი არისო, და დაიმალა შეურიდ ხალხში.

(ამისი შესრულება შემდგომში იქმნება)